

„ბორდოს ხსნარის“ შექმნის ისტორია

ეს საინტერესოა

მომზადა ნათია არაბულმა

ერთხელ საფრანგეთის მევენახეებმა უჩვეულო თხოვნით მიმართეს იმ დროის გამოჩენილ ქიმიკოს ჟოზეფ-ლუი-პრუსტს (1754 - 1826), დაემზადებინა ქურდებისაგან ყურძნის დაცვის საშუალება. საქმე ის გახლდათ, რომ გამვლელები ხშირად კრეფდნენ თვითნებურად ყურძნს ვენახის გზისპირა რიგებში, რითაც მევენახეები ზარალდებოდნენ. ქიმიკოსმა შესთავაზა მათ ვაზის შეწამვლა კირისა და შაბიამნის შემცველი ნარევით, რომელიც გამრობის შემდეგ ემსგავსებოდა ობს, არ ვნებდა მცენარეს და, რაც მთავარია, გარეგნულად იმდენად არამიმზიდველად გამოიყურებოდა, რომ დაუპატიჟებელ სტუმრებს დაგემოვნების სურვილი აღარ გასჩენიათ.

ამ „ხსნარს“ განსაკუთრებით ინტენსიურად იყენებდნენ მეღვინეობით განთქმულ საფრანგეთის ქალაქ ბორდოში. სწორედ ამიტომ, იგი „ბორდოს ხსნარის“ სახელწოდებითაა ცნობილი, თუმცა სინამდვილეში ეს არის სუსპენზია (არაერთგვაროვანი ნარევი).

მე-19 საუკუნეში ევროპის სხვადასხვა რეგიონში გავრცელდა ვაზის სოკოვანი დაავადება, რომელიც ძლიერ აზიანებდა მტევანს. პრობლემა ბორდოს ვენახებსაც შეეხო. 1882 წელს პრობლემის გადასაჭრელად დახმარებისთვის მიმართეს ბორდოს უნივერსიტეტის ბოტანიკის პროფესორ პიერ მილარდეს. მეცნიერი სწავლობდა რა დაავადებულ ვაზს, შეამჩნია, რომ „ბორდოს ხსნარით“ შეწამლულ გზისპირა რიგებში ყურძენი საღი იყო. ამრიგად „ბორდოს ხსნარი“ არამცთუ უვნებელი, არამედ სასარგებლოც აღმოჩნდა და მას შემდეგ აქტიურად გამოიყენება ვაზის შესაწამლად.

აქტივობა

„ბორდოს ხსნარს“ შემდეგნაირად ამზადებენ: ჩაუმქრალ კირს ხსნიან წყალში და შემდეგ უმატებენ შაბიამანს. როგორ ფიქრობთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ნაერთებს შეიცავს მიღებული სუსპენზია?

- ა) CaO და $CuSO_4$
- ბ) $CaSO_4$ და CuO
- გ) $Ca(OH)_2$ და $CuSO_4$
- დ) $CaSO_4$ და $Cu(OH)_2$